დასკვნა:**დ10. 3722354001**
თარიღი:**20/12/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტზე დასკვნა

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-მ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებული ვარიანტი (შემდგომში „პროექტი") სრულ შესაბამისობაშია საბიუჯეტო კოდექსის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და სხვა შესაბამისი მიმართულების ნორმატიული აქტებითა და დებულებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. პროექტის კორექტირებული ვარიანტი მის პირველად ვერსიასთან მიმართებით უფრო აკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიას. აღნიშნული მნიშვნელოვანია და რა თქმა უნდა ზრდის ბიუჯეტის გამჭვირვალობის ხარისხს.

3. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს მიერ მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის, მათ შორის განსაკუთრებით წლიური ბიუჯეტის პირველად პროექტთან მიმართებით გამოთქმული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი არ აისახა ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტის პროექტში, ხოლო იმ ნაწილზე, რომლებიც ვერ ან არ იქნა გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში, თანდართული შენიშვნების რეესტრშია მოცემული შესაბამისი ახსნა-განმარტებით.

4. ფრაქციის მიერ დაფიქსირებული შენიშვნებიდან კორექტირებული ბიუჯეტის პროექტში:

- გადამუშავდა პროექტებით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები.

- ბიუჯეტის პროექტების აღწერილობით ნაწილში არ გვხვდება ტექსტების ტავტოლოგიის შემთხვევები.

- ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლზე განჩნდა წარწერა „მამული, ენა, სარწმუნოება".

5. ფრაქციის სახვა შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მიმართებით მერიის ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მოცულობის ფინანსური რესურსების მოძიებისა და პროექტების

განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა ბერკეტების ამოქმედება.

6. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი პროგრესირებადია, რეალური და ორიენტირებულია არსებული პრობლემების გადაწყვეტისაკენ. შესაბამისად, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მხარს უჭერს ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას.

მარიკა ჩხიკვიშვილი

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ფრაქციის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი